ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №12

აბაშა, 2023 წლის 14 მარტი

აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხელშეკრულების დადებაზე, რომლის ღირებულება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5%-ს აღემატება, თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24–ე მუხლის პირველი პუნქტის "დ.გ" ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა:

1. მიეცეს თანხმობა აბაშის მუნიციპალიტეტის მერს აბაშის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მნიშვნელობის გზების (სოფ. ძვ. აბაშაში №1 ქუჩაზე ორფენიანი ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობა; სოფ. ზანათიდან სოფ. ძიგურამდე ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობა; ქ. აბაშაში ცანავას ქუჩის შესახვევის მოწყობა ასფალტო-ბეტონით, ცანავას ქუჩიდან იპოდრომის გავლით ცანავას ქუჩამდე; სოფ. ეწერში ქუჩა №6 და №8 მოწყობა ასფალტო-ბეტონის საფარით; სოფ. სუჯუნაში სანოდიო-სამატკაოს უბანში ქუჩის №11, №12 და №15 გზის მოწყობა ასფალტო-ბეტონის საფარით; სოფ. მარანში №5 ქუჩის ასფალტო-ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები) ასფალტო-ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოების შესრულების ხელშეკრულების დადებაზე, რომლის ღირებულება აღემატება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5%-ს და შეადგენს 3 135 000 ლარს დღგ-ის გათვალისწინებით.
2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს სენაკის რაიონულ სასამართლოში მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მისამართი: ქ. სენაკი, რუსთაველის ქ. №247).
3. განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი: გელა ხოშტარია